

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებებით :

- 1.1. არქიტექტურა (პროფესორი);
- 1.2. ქალაქთმშენებლობა (პროფესორი);
- 1.3. არქიტექტურა და დიზაინი (ასისტენტ პროფესორი);

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. არქიტექტურის მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა და ასევე:

- უცხოურ უნივერსიტეტებში მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

2.2. ქალაქთმშენებლობის მიმართულებით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 8 წლისა და ასევე:

- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- შესაბამის სფეროში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა;
- ქალაქთმშენებლობისა და სამშენებლო კანონმდებლობაზე მუშაობის გამოცდილება;
- ქალაქთმშენებლობის საერთაშორისო მარეგულირებელი გარემოს კარგი ცოდნა;
- მულტი-დისციპლინარული ცოდნა და გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა.

2.3. არქიტექტურა და დიზაინის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- მინიმუმ 20 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება შესაბამის სფეროში;
- განხორციელებული პროექტები;
- მინიმუმ 1 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

2.4. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2017 წლის 9 ოქტომბრიდან - 2017 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1. ბიოგრაფია (CV);

4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/72501160118443>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2017 წლის 11 ოქტომბერს**, ხოლო გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2017 წლის 12 ოქტომბრიდან - 2017 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.**

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 4 წლის ვადით.

9. საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge